საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეკლარის ქვა

ეკლარის ქვა, ამ სახელწოდებით ცნობილია ქუთაისის მიდამოებში (თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭოგნართან) გვიანდ. ცარცული ასაკის სქელშრეებრივი კირქვები. არსებობს ე. ქ-ის ორი სახეობა: მოთეთრო-მონაცრისფრო და მოვარდისფრო-აგურისფერი. იგი ლამაზი შეფერილობის ადვილად დასამუშავებელი ქვაა, რის გამოც ფართოდ იყენებენ მშენებლობაში. ე. ქ-ით არის მოპირკეთებული თბილისის სპორტის სასახლე, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნ. რედაქციის ყოფ. შენობა, აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტი, მრავალი შენობა ქუთაისში და სხვ.

ვ. ქოიავა